

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ალექსანდრეული“ ფინანსური ანგარიშგება

შპს "ალექსანდრეული"

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობა.....	5
კაპიტალის ცვლილებების უწყისი.....	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2022	2023	2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3 011 030,00	2 833 967,00	2 647 736,00
არამატერიალური აქტივები	654,00	654,00	654,00
სულ გრძელვადიანი აქტივები	3 011 684,00	2 834 621,00	2 648 390,00
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	73 270,00	101 951,00	26 633,00
სავაჭრო მოთხოვნები	1 812 786,00	1 882 816,00	1 990 025,00
მარაგები	1 500 358,00	1 437 974,00	1 762 616,00
გადახდილი ავანსები	6 494,00	796,00	35 968,00
სულ მიმდინარე აქტივები	3 392 908,00	3 423 537,00	3 815 242,00
სულ აქტივები	6 404 592,00	6 258 158,00	6 463 632,00
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	7 021 291,00	8 131 291,00	9 088 665,00
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7 021 291,00	8 131 291,00	9 088 665,00
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	633 972,00	654 831,00	661 743,00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			757,00
საგადასახადო ვალდებულება	17 509,00	14 112,00	8 288,00
მიღებული ავანსები	17 366,00	17 366,00	198,00
გადასახდელი პროცენტები	523 758,00	660 327,00	795 740,00
სხვა ვალდებულებები	18 021,00	29 605,00	29 466,00
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 210 626,00	1 376 241,00	1 496 192,00
სულ ვალდებულებები	8 231 917,00	9 507 532,00	10 584 857,00
კაპიტალი			
კაპიტალი	2 833 000,00	2 833 000,00	2 833 000,00
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	- 4 660 325,00	- 6 082 374,00	- 6 954 225,00
სულ კაპიტალი	- 1 827 325,00	- 3 249 374,00	- 4 121 225,00
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	6 404 592,00	6 258 158,00	6 463 632,00

დირექტორი:



დავით მაგაბერიძე

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	2023	2024
საოპერაციო შემოსავალი	531 140,00	379 470,00
სულ საოპერაციო შემოსავლები	531 140,00	379 470,00
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	- 488 863,00	- 185 242,00
საოპერაციო მოგება	42 277,00	194 228,00
ხელფასები	- 278 777,00	- 278 368,00
ცვეთა და ამორტიზაცია	- 235 722,00	- 228 150,00
ადმინისტრაციის და სხვა ხარჯი	- 241 300,00	- 200 478,00
სულ ხარჯები	- 755 799,00	- 706 996,00
მიღებული მოგება/ზარალი	- 713 522,00	- 512 768,00
საპროცენტო ხარჯი	- 585 177,00	- 652 239,00
საკურსო სხვაობა	- 302 835,00	127 288,00
არასაოპერაციო შემოსავალი (სუბსიდია)	179 485,00	165 868,00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მოგება/ზარალი	- 1 422 049,00	- 871 851,00

დირექტორი:



დავით მაცაბერიძე

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023	2024
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	562 845,00	565 445,00
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	- 923 364,00	- 1 087 288,00
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	- 360 519,00	- 521 843,00
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	- 7 264,00	- 42 630,00
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	- 7 264,00	- 42 630,00
საფინანსო საქმიანობა		
სესხის აღება	7 590 331,00	2 894 584,00
სესხის გადახდა	- 6 733 678,00	- 1 892 457,00
პროცენტის გადახდა	- 451 189,00	- 526 106,00
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	405 464,00	476 021,00
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	38 963,00	- 88 452,00
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	73 270,00	101 951,00
სავალუტო კურსის ეფექტი	- 9 000,00	13 134,00
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	101 951,00	26 633,00

კაპიტალის ცვლილების უწყისი		
	2023	2024
საწყისი ნაშთი:	- 1 827 325,00	- 3 249 374,00
საწესდებო კაპიტალი	2 833 000,00	2 833 000,00
წლის წმინდა მოგება	-	-
დაუფარავი ზარალი	- 1 422 049,00	- 871 851,00
საბოლოო ნაშთი	- 3 249 374,00	- 4 121 225,00

დირექტორი:



დავით მაგაბერიძე

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალექსანდრეული“ არის 1998 წლის 28 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ამბროლაურის რაიონი, სოფ. ბუგეული

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 9677 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულში, რომელზეც განთავსებულია ყურძნის დამამუშავებელი ქარხანა, საოფისე ფართი და სხვა დამხმარე ნაგებობები.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

ვიქტორ მეტრეველი (პ/ნ 01018000556)-0,06%

ზვიად გონაძე (პ/ნ 01009003704) – 5%

გოჩა მაცაბერიძე (01019001595) – 94,94%

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ყურძნისგან ღვინის წარმოება და რეალიზაცია.

საწარმოს მართავს დირექტორი დავით მაცაბერიძე (01019001597).

2. მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პრინციპები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე საფუძველი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები აღიარდება ხარჯად შესაბამისი პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის

თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5 - 10 წელი
ავტომატები	5-7წელი
მიწის ნაკვეთები	არა ცვეთადი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. შეფასების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. შემდგომ საწარმო ფინანსურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოში ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, არის ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასი.

კომპანია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულებულია - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სესხები

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მნიშვნელოვანი დრო დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გასაყიდად მოსამზადებლად (კვალიფიცირებული აქტივები), კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

ყველა სხვა სესხის აღების ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება. სესხის აღების ხარჯები შედგება პროცენტებისა და სხვა ხარჯებისგან, რომლებიც წარმოიქმნება ნასესხები სახსრებიდან.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატება, რომელიც მიღებულ იქნა საწარმოს მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

შემოსავლების აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავლების აღიარება

საოპერაციო და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) აქტივების გაუფასურება და ანარიცხების აღრიცხვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია აფასებს არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი რომ კომპანიის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ თანხამდე. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაადგინა, რომ გაუფასურების ასეთი ინდიკატორი არ არსებობს და შედეგად კომპანიაში არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტი.

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.დეკ.23	135 376,00	1 749 866,00	873 199,00	67 498,00	8 028,00	2 833 967,00
შემოსვლა			41 919,00			41 919,00
ცვეთა და გაუფასურება		72 179,00	140 393,00	14 191,00	1 387,00	228 150,00
გასვლა						-
31.დეკ.24	135 376,00	1 677 687,00	774 725,00	53 307,00	6 641,00	2 647 736,00

კომპანიის მიერ დარიცხული ცვეთის მთლიანი თანხა აისახა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2024
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	101 711,00	25 807,00
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	240,00	826,00

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები დენომინირებულია ლარში.

6. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სმგ	სარეალიზაციო საქონელი ღვინო	ნედლეული და მასალები	სხვა მარაგები	სულ
31.დეკ.23	1 156 559,00	274 460,00	6 955,00	1 437 974,00
შემოსვლა-დამზადება	466 254,00	514 413,00	19 560,00	1 000 227,00
გასვლა-რეალიზაცია	182 424,00	473 716,00	19 445,00	675 585,00
31.დეკ.24	1 440 389,00	315 157,00	7 070,00	1 762 616,00

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილია ღვინო, რომელსაც საწარმო ამზადებს მესამე პირებისგან შესყიდული ყურძნისგან. ღვინის რეალიზაცია ხდება როგორც ჩამოსასხმელი ღვინის სახით, ასევე საწარმოში მიმდინარეობს ბოთლებში ჩამოსხმა, ეტიკეტირება და

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შემდგომი რეალიზაცია. ღვინის თვითღირებულებაში შედის ყურძნის, დამხმარე მასალა-ნედლეულის და გადამუშავებასთან და საბოლოო პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯების ღირებულება.

რეალიზებული პროდუქცია ჩამოიწერება ანგარიშიდან საშუალო შეწონილი მეთოდით.

7. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებს წარმოადგენს მომხმარებლებისგან მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაფარვის ვადა 12 თვემდეა. კომპანიას არ აქვს აღიარებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, რადგან არ გააჩნია მისაღებ თანხებთან დაკავშირებული დანაკარგების გამოცდილება.

	31.12.2022წ	31.12.2023წ	31.12.2024წ
სავაჭრო მოთხოვნები	1 812 786,00	1 882 816,00	1 990 025,00

8. გადახდილი ავანსები

კომპანიის მოკლევადიანი მოთხოვნების ნაწილია მომწოდებელზე გადახდილი ავანსები. კომპანია ძირითადად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივი მომწოდებლებისგან. მათზე გადახდილი ავანსი აღირიცხება, როგორც მოკლევადიანი მოთხოვნა და იფარება საქონლის ან მომსახურების მიღების მომენტში.

	31.12.2022წ	31.12.2023წ	31.12.2024წ
გადახდილი ავანსები	6 494,00	796,00	35 968,00

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კომპანიას წარმოექმნება საქონლის და მომსახურების მიწოდების მომენტში. ვალდებულებების დაფარვის თარიღი არ აღემატება 12 თვეს. ვადაგადაცილებული სავაჭრო ვალდებულება კომპანიას არ აქვს.

	31.12.2022წ.	31.12.2023წ	31.12.2024წ
სავაჭრო ვალდებულებები	633 972,00	654 831,00	661 743,00
სხვა ვალდებულებები	18 021,00	29 605,00	29 466,00

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

10. მიღებული სესხები

კომპანიას აქვს მიღებული სესხი სს თიბისი ბანკისგან 2 700 000,00 ევროს ოდენობით წლიურ 7,5%-ად. სესხის დაფარვა ხდება გრაფიკის მიხედვით ყოველთვიურად. დაფარვის ბოლო ვადაა 2031 წლის აგვისტო.

ასევე კომპანიას მიღებული აქვს სესხები ფიზიკური პირებისგან წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

მიღებული სესხები	31.12.2022	31.12.2023	31.12.2024
ბანკიდან მიღებული სესხი	5 894 717,00	6 896 895,00	7 782 725,00
ფიზ. პირისგან მიღებული სესხი	1 126 575,00	1 234 396,00	1 305 940,00

თანხები დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში.

სესხზე დარიცხული პროცენტები ყოველწლიურად აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

11. გადასახდელი პროცენტები

კომპანიას გადასახდელი პროცენტების ვალდებულება წარმოექმნება ფიზიკური პირებისგან ნასესხები სახსრებიდან. ვალდებულების დაფარვა ხდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

	31.12.2022	31.12.2023	31.12.2024
გადასახდელი პროცენტები	523 758,00	660 327,00	795 740,00

12. ამონაგები

კომპანიის ძირითადი შემოსავალი შედგება პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისგან, რომელიც აღიარდება პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების მომენტში.

	2023	2024
საოპერაციო შემოსავალი	531 140,00	379 470,00

13. ხარჯები

ხარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2023	2024
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	- 488 863,00	- 185 242,00

ადმინისტრაციის და სხვა ხარჯები შედგება:

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	2023	2024
მიმდინარე რემონტის და სამუშაოების	44 870,00	8 163,00
მარკეტინგი და რეკლამა	53 851,00	41 653,00
კომუნალური ხარჯი	55 166,00	43 381,00
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	109,00	1 980,00
დაცვის მომსახურება	1 485,00	1 114,00
საბუღალტრო მომსახურება	-	26 200,00
სატრანსპორტო ხარჯი	10 970,00	4 024,00
კომუნიკაციის ხარჯი	6 825,00	6 729,00
საწვავის ხარჯი	2 254,00	2 518,00
მივლინება	709,00	5 975,00
სხვადასხვა სამეურნეო ხარჯი	8 143,00	6 331,00
მომსახურების ხარჯი	36 001,00	31 135,00
საბანკო ხარჯი	15 344,00	15 781,00
საპენსიო სააგენტოს ხარჯი	5 573,00	5 494,00
	241 300,00	200 478,00

14. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის მენეჯმენტისთვის გაცემული სარგებელი 2024 წლის პერიოდში შეადგენს 5 270,00 ლარს, ხოლო 2023 წელს 11 736,00 ლარს.

15. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კაპიტალის ნაწილში 2023 და 2022 წლებში ცალკე მუხლად იყო გამოყოფილი ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი. ვინაიდან კომპანია არ იყენებს ძირითადი საშუალებებისთვის გადაფასების მოდელს და გადაფასება მოხდა ერთჯერადად, ამიტომ 2024 წლის ანგარიშგებაში მოვახდინეთ რეკლასიფიკაცია და გადაფასების რეზერვი აისახა გაუნაწილებელი მოგება/ზარალის მუხლში.

16. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას და ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

30.09.2025

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ალექსანდრეული“ ფინანსური ანგარიშგება

შპს "ალექსანდრეული"

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობა.....	5
კაპიტალის ცვლილებების უწყისი.....	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2022	2023	2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3 011 030,00	2 833 967,00	2 647 736,00
არამატერიალური აქტივები	654,00	654,00	654,00
სულ გრძელვადიანი აქტივები	3 011 684,00	2 834 621,00	2 648 390,00
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	73 270,00	101 951,00	26 633,00
სავაჭრო მოთხოვნები	1 812 786,00	1 882 816,00	1 990 025,00
მარაგები	1 500 358,00	1 437 974,00	1 762 616,00
გადახდილი ავანსები	6 494,00	796,00	35 968,00
სულ მიმდინარე აქტივები	3 392 908,00	3 423 537,00	3 815 242,00
სულ აქტივები	6 404 592,00	6 258 158,00	6 463 632,00
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	7 021 291,00	8 131 291,00	9 088 665,00
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7 021 291,00	8 131 291,00	9 088 665,00
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	633 972,00	654 831,00	661 743,00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			757,00
საგადასახადო ვალდებულება	17 509,00	14 112,00	8 288,00
მიღებული ავანსები	17 366,00	17 366,00	198,00
გადასახდელი პროცენტები	523 758,00	660 327,00	795 740,00
სხვა ვალდებულებები	18 021,00	29 605,00	29 466,00
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 210 626,00	1 376 241,00	1 496 192,00
სულ ვალდებულებები	8 231 917,00	9 507 532,00	10 584 857,00
კაპიტალი			
კაპიტალი	2 833 000,00	2 833 000,00	2 833 000,00
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	- 4 660 325,00	- 6 082 374,00	- 6 954 225,00
სულ კაპიტალი	- 1 827 325,00	- 3 249 374,00	- 4 121 225,00
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	6 404 592,00	6 258 158,00	6 463 632,00

დირექტორი:

დავით მაცაბერიძე

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	2023	2024
საოპერაციო შემოსავალი	531 140,00	379 470,00
სულ საოპერაციო შემოსავლები	531 140,00	379 470,00
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	- 488 863,00	- 185 242,00
საოპერაციო მოგება	42 277,00	194 228,00
ხელფასები	- 278 777,00	- 278 368,00
ცვეთა და ამორტიზაცია	- 235 722,00	- 228 150,00
ადმინისტრაციის და სხვა ხარჯი	- 241 300,00	- 200 478,00
სულ ხარჯები	- 755 799,00	- 706 996,00
მიღებული მოგება/ზარალი	- 713 522,00	- 512 768,00
საპროცენტო ხარჯი	- 585 177,00	- 652 239,00
საკურსო სხვაობა	- 302 835,00	127 288,00
არასაოპერაციო შემოსავალი (სუბსიდია)	179 485,00	165 868,00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მოგება/ზარალი	- 1 422 049,00	- 871 851,00

დირექტორი:

დავით მაცაბერიძე

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023	2024
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	562 845,00	565 445,00
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	- 923 364,00	- 1 087 288,00
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	- 360 519,00	- 521 843,00
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	- 7 264,00	- 42 630,00
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	- 7 264,00	- 42 630,00
საფინანსო საქმიანობა		
სესხის აღება	7 590 331,00	2 894 584,00
სესხის გადახდა	- 6 733 678,00	- 1 892 457,00
პროცენტის გადახდა	- 451 189,00	- 526 106,00
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	405 464,00	476 021,00
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	38 963,00	- 88 452,00
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	73 270,00	101 951,00
სავალუტო კურსის ეფექტი	- 9 000,00	13 134,00
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	101 951,00	26 633,00

კაპიტალის ცვლილების უწყისი		
	2023	2024
საწყისი ნაშთი:	- 1 827 325,00	- 3 249 374,00
საწესდებო კაპიტალი	2 833 000,00	2 833 000,00
წლის წმინდა მოგება	-	-
დაუფარავი ზარალი	- 1 422 049,00	- 871 851,00
საბოლოო ნაშთი	- 3 249 374,00	- 4 121 225,00

დირექტორი:

დავით მაცაბერიძე

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალექსანდრეული“ არის 1998 წლის 28 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ამბროლაურის რაიონი, სოფ. ბუგეული

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 9677 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულში, რომელზეც განთავსებულია ყურძნის დამამუშავებელი ქარხანა, საოფისე ფართი და სხვა დამხმარე ნაგებობები.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

ვიქტორ მეტრეველი (პ/ნ 01018000556) - 0,06%

ზვიად გონაძე (პ/ნ 01009003704) – 5%

გოჩა მაცაბერიძე (01019001595) – 94,94%

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ყურძნისგან ღვინის წარმოება და რეალიზაცია.

საწარმოს მართავს დირექტორი დავით მაცაბერიძე (01019001597).

2. მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პრინციპები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე საფუძველი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები აღიარდება ხარჯად შესაბამისი პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის

თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელ
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5 - 10 წელი
ავტომანქანები	5-7წელი
მიწის ნაკვეთები	არა ცვეთადი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. შეფასების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. შემდგომ საწარმო ფინანსურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოში ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, არის ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასი.

კომპანია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულებულია - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სესხები

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მნიშვნელოვანი დრო დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გასაყიდად მოსამზადებლად (კვალიფიცირებული აქტივები), კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

ყველა სხვა სესხის აღების ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება. სესხის აღების ხარჯები შედგება პროცენტებისა და სხვა ხარჯებისგან, რომლებიც წარმოიქმნება ნასესხები სახსრებიდან.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატება, რომელიც მიღებულ იქნა საწარმოს მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

შემოსავლების აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის

მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავლების აღიარება

საოპერაციო და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) აქტივების გაუფასურება და ანარცხების აღრიცხვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია აფასებს არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი რომ კომპანიის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ თანხამდე. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაადგინა, რომ გაუფასურების ასეთი ინდიკატორი არ არსებობს და შედეგად კომპანიაში არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტი.

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.დეკ.23	135 376,00	1 749 866,00	873 199,00	67 498,00	8 028,00	2 833 967,00
შემოსვლა			41 919,00			41 919,00
ცვეთა და გაუფასურება		72 179,00	140 393,00	14 191,00	1 387,00	228 150,00
გასვლა						-
31.დეკ.24	135 376,00	1 677 687,00	774 725,00	53 307,00	6 641,00	2 647 736,00

კომპანიის მიერ დარიცხული ცვეთის მთლიანი თანხა აისახა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2024
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	101 711,00	25 807,00
ნაღდი ფული საღაროში (ლარი)	240,00	826,00

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები დენომინირებულია ლარში.

6. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სმფ	სარეალიზაციო საქონელი ღვინო	ნედლეული და მასალები	სხვა მარაგები	სულ
31.დეკ.23	1 156 559,00	274 460,00	6 955,00	1 437 974,00
შემოსვლა-დამზადება	466 254,00	514 413,00	19 560,00	1 000 227,00
გასვლა-რეალიზაცია	182 424,00	473 716,00	19 445,00	675 585,00
31.დეკ.24	1 440 389,00	315 157,00	7 070,00	1 762 616,00

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილია ღვინო, რომელსაც საწარმო ამზადებს მესამე პირებისგან შესყიდული ყურძნისგან. ღვინის რეალიზაცია ხდება როგორც ჩამოსასხმელი ღვინის სახით, ასევე საწარმოში მიმდინარეობს ბოთლებში ჩამოსხმა, ეტიკეტირება და

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შემდგომი რეალიზაცია. ღვინის თვითღირებულებაში შედის ყურძნის, დამხმარე მასალა-
ნედლეულის და გადამამუშავებასთან და საბოლოო პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებული
დანახარჯების ღირებულება.

რეალიზებული პროდუქცია ჩამოიწერება ანგარიშიდან საშუალო შეწონილი მეთოდით.

7. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებს წარმოადგენს მომხმარებლებისგან მისაღები ფულადი
სახსრები, რომელთა დაფარვის ვადა 12 თვემდეა. კომპანიას არ აქვს აღიარებული სავაჭრო
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, რადგან არ გააჩნია მისაღებ თანხებთან
დაკავშირებული დანაკარგების გამოცდილება.

	31.12.2022წ	31.12.2023წ	31.12.2024წ
სავაჭრო მოთხოვნები	1 812 786,00	1 882 816,00	1 990 025,00

8. გადახდილი ავანსები

კომპანიის მოკლევადიანი მოთხოვნების ნაწილია მომწოდებელზე გადახდილი ავანსები.
კომპანია ძირითადად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივი მომწოდებლებისგან. მათზე
გადახდილი ავანსი აღირიცხება, როგორც მოკლევადიანი მოთხოვნა და იფარება საქონლის ან
მომსახურების მიღების მომენტში.

	31.12.2022წ	31.12.2023წ	31.12.2024წ
გადახდილი ავანსები	6 494,00	796,00	35 968,00

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კომპანიას წარმოექმნება საქონლის და მომსახურების
მიწოდების მომენტში. ვალდებულებების დაფარვის თარიღი არ აღემატება 12 თვეს.
ვადაგადაცილებული სავაჭრო ვალდებულება კომპანიას არ აქვს.

	31.12.2022წ.	31.12.2023წ	31.12.2024წ
სავაჭრო ვალდებულებები	633 972,00	654 831,00	661 743,00
სხვა ვალდებულებები	18 021,00	29 605,00	29 466,00

10. მიღებული სესხები

კომპანიას აქვს მიღებული სესხი სს თიბისი ბანკისგან 2 700 000,00 ევროს ოდენობით წლიურ 7,5%-ად. სესხის დაფარვა ხდება გრაფიკის მიხედვით ყოველთვიურად. დაფარვის ბოლო ვადაა 2031 წლის აგვისტო.

ასევე კომპანიას მიღებული აქვს სესხები ფიზიკური პირებისგან წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

მიღებული სესხები	31.12.2022	31.12.2023	31.12.2024
ბანკიდან მიღებული სესხი	5 894 717,00	6 896 895,00	7 782 725,00
ფიზ. პირისგან მიღებული სესხი	1 126 575,00	1 234 396,00	1 305 940,00

თანხები დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში.

სესხზე დარიცხული პროცენტები ყოველწლიურად აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

11. გადასახდელი პროცენტები

კომპანიას გადასახდელი პროცენტების ვალდებულება წარმოექმნება ფიზიკური პირებისგან ნასესხები სახსრებიდან. ვალდებულების დაფარვა ხდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

	31.12.2022	31.12.2023	31.12.2024
გადასახდელი პროცენტები	523 758,00	660 327,00	795 740,00

12. ამონაგები

კომპანიის ძირითადი შემოსავალი შედგება პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისგან, რომელიც აღიარდება პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების მომენტში.

	2023	2024
საოპერაციო შემოსავალი	531 140,00	379 470,00

13. ხარჯები

ხარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.

შპს ალექსანდრეული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2023	2024
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	- 488 863,00	- 185 242,00

ადმინისტრაციის და სხვა ხარჯები შედგება:

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	2023	2024
მიმდინარე რემონტის და სამუშაოების	44 870,00	8 163,00
მარკეტინგი და რეკლამა	53 851,00	41 653,00
კომუნალური ხარჯი	55 166,00	43 381,00
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	109,00	1 980,00
დაცვის მომსახურება	1 485,00	1 114,00
საბუღალტრო მომსახურება	-	26 200,00
სატრანსპორტო ხარჯი	10 970,00	4 024,00
კომუნიკაციის ხარჯი	6 825,00	6 729,00
საწვავის ხარჯი	2 254,00	2 518,00
მივლინება	709,00	5 975,00
სხვადასხვა სამეურნეო ხარჯი	8 143,00	6 331,00
მომსახურების ხარჯი	36 001,00	31 135,00
საბანკო ხარჯი	15 344,00	15 781,00
საპენსიო სააგენტოს ხარჯი	5 573,00	5 494,00
	241 300,00	200 478,00

14. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის მენეჯმენტისთვის გაცემული სარგებელი 2024 წლის პერიოდში შეადგენს 5 270,00 ლარს, ხოლო 2023 წელს 11 736,00 ლარს.

15. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კაპიტალის ნაწილში 2023 და 2022 წლებში ცალკე მუხლად იყო გამოყოფილი ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი. ვინაიდან კომპანია არ იყენებს ძირითადი საშუალებებისთვის გადაფასების მოდელს და გადაფასება მოხდა ერთჯერადად, ამიტომ 2024 წლის ანგარიშგებაში მოვახდინეთ რეკლასიფიკაცია და გადაფასების რეზერვი აისახა გაუნაწილებელი მოგება/ზარალის მუხლში.

16. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას და ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

30.09.2025